სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080136331294122

№ 92 12 / იანვარი / 2023 წ.

შპს „ალიანსის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „საქართველოს მელიორაცია“;

ტენდერის ნომერი: NAT180020680;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ალიანსი“ (ს/ნ: 204976464);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 22 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2022 წლის 22 ნოემბრის № გ-3930 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 9182), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ალიანსის“ (ს/ნ: 204976464) მიერ NAT180020680 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 27 თებერვლის № 1-91/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის aliansi_06@yahoo.com მეშვეობით, 2022 წლის 29 ნოემბრის № 3998 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2022 წლის 5 დეკემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2022 წლის 5 დეკემბრის № 107 განმარტება (რეგისტრაციის № 9603) მის მიერ NAT180020680 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 27 თებერვლის № 1-91/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. 2022 წლის 15 დეკემბერს, სააგენტოს 2022 წლის 9 დეკემბრის № 4146 წერილის პასუხად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა 2022 წლის 15 დეკემბრის № გ-4808 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 9993) მიმწოდებლის მიერ NAT180020680 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 27 თებერვლის № 1-91/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მან ვერ აღმოფხვრა გამოვლენილი დეფექტები. ამასთან, ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებული იყო საგარანტიო პერიოდის პირველი ნახევრის დასრულებამდე უზრუნველეყო ობიექტის დათვალიერებისას გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. ამასთან, 2021 წელს საგარანტიო პერიოდში ასევე გამოვლინდა დეფექტები, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობა სიტყვიერად, იმის გათვალისწინებით, რომ რწყვის სეზონის პერიოდში შეუძლებელი იყო დეფექტების აღმოფხვრა. ამდენად, რწყვის სეზონის დასრულების შემდეგ, 2021 წლის 1 ნოემბერს მიმწოდებელს წერილობით ეთხოვა დეფექტების აღმოფხვრა, თუმცა უშედეგოდ, რასთან დაკავშირებითაც წერილობით ეცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ ფინანსური პრობლემების გამო იგი დეფექტების აღმოფხვრას ვერ უზრუნველყოფდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტების თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელს ჰქონდა ფინანსური პრობლემები და იგი თანახმა იყო შემსყიდველ ორგანიზაციას გამოეყენებინა ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა დეფექტების აღმოსაფხვრელად, რის გამოც შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 27 თებერვალს, NAT180020680 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ და შპს „ალიანსმა“ (ს/ნ: 204976464) გააფორმეს № 1-91/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2020 წლის 16 მარტის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 991 816,51 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 20 აპრილი.

4.2. 2019 წლის 27 თებერვლის № 1-91/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების „7.2“ პუნქტის მიხედვით, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 1 წელს.

4.3. მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტებით, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 26 მაისი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად –2020 წლის 31 ივლისი.

4.4. შპს „რეალექსპერტის“ 2020 წლის 20 ივლისის № R-E.TP.G04.FA.411.20 ინსპექტირების ანგარიშისა და მხარეთა შორის გაფორმებული 2020 წლის 5 ოქტომბრის დასრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების და ობიექტის საექსპლუატაციოდ მიღების აქტის მიხედვით, მიმწოდებელმა დაასრულა სამუშაოები, კერძოდ, შესრულდა 1 991 813,7 ლარის ღირებულების სამუშაოები. ამავე მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ობიექტის დათვალიერებისას გამოვლინდა დეფექტები (გამანაწილებლის პკ 71+40-ის მიმდებარედ ჩატარებული ლესვის მოწესრიგება, გამანაწილებლის მთელ სიგრძეზე რკინა-ბეტონის ფილებს შორის შევსებული შოვების მოწესრიგება), რომლებიც მიმწოდებელს უნდა აღმოეფხვრა საგარანტიო პერიოდის პირველი ნახევრის (6 თვე) დასრულებამდე, ასევე, მათი აღმოფხვრის უზრუნველყოფისთვის დაკავდა შესრულებული ვალდებულებების ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 1 ნოემბრის № გ-3324 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა დეფექტების აღმოფხვრა 2021 წლის 4 ნოემბრიდან ერთი თვის ვადაში.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 16 მარტის № გ-748 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ ცალკეულ მონაკვეთებზე გამოვლინდა არხის ძარის დაზიანების ფაქტები. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა დეფექტების აღმოფხვრა.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 30 მარტის № გ-948 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა 2022 წლის 25 აპრილამდე.

4.8. მიმწოდებლის 2022 წლის 30 მარტის №45 წერილის თანახმად, იგი 2021 წელს აწარმოებდა დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოებს, რაც შეჩერდა ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობების გამო. ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა არხში წყლის ჩაკეტვა სამუშაოების გაგრძელების მიზნით.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 6 აპრილის № გ-1031 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ არხში წყალი არ ჩაედინებოდა და ეთხოვა სამუშაოების გაგრძელება.

4.10. მიმწოდებლის 2022 წლის 29 ივლისის № 95 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ დეფექტები აღმოიფხვრებოდა ობიექტზე რწყვის სეზონის დასრულების შემდეგ ორი თვის ვადაში.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 30 აგვისტოს №გ-2874 წერილის თანახმად, მიმწოდებელი 2021 წელს ახორციელებდა ობიექტზე გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოებს. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოებს გააგრძელებდა სარწყავი სეზონის დასრულებისა და არხში წყლის შეწყვეტის შემდგომ და დაასრულებდა ორ თვეში. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოების გეგმა-გრაფიკის დროულად წარდგენა, ასევე საჭირო მასალებისა და სამუშაო ძალის მობილიზება სამუშაოების დროულად დასრულების მიზნით.

4.12. მიმწოდებლის 2022 წლის 1 სექტემბრის № 99 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელს ჰქონდა ფინანსური პრობლემები და იგი თანახმა იყო შემსყიდველ ორგანიზაციას გამოეყენებინა ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა დეფექტების აღმოსაფხვრელად.

4.13. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 ნოემბრის №გ-3822 წერილის მიხედვით, მიმწოდებელმა ვერ აღმოფხვრა საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტები.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ალიანსი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მან, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ აღმოფხვრა გამოვლენილი დეფექტები ვერც საგარანტიო და ვერც მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში. სააგენტოს ასევე მიუთითებს, რომ ფინანსური პრობლემა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დეფექტების აღმოსაფხვრელად გამოყენების მოთხოვნა არ წარმოადგენს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ან შემამსუბუქებელ გარემოებას. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ალიანსის“ (ს/ნ: 204976464) შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, რეესტრში იძებნება 8 სარეგისტრაციო ჩანაწერი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში დარეგისტრირების ფაქტების გათვალისწინებით, შპს „ალიანსი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ალიანსი“ (ს/ნ: 204976464) 2023 წლის 13 იანვარს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე